

## თანხმობის ელექტრონული განაცხადის შევსების ინსტრუქცია

ელექტრონული განაცხადის შესავსებად აკრიფეთ მისამართი <http://directors.mes.gov.ge/> და დააჭირეთ ღილაკს „ავტორიზაცია“.

პირველადი ავტორიზაციის მიზნით, შესაბამის ველებში მიუთითეთ სერტიფიცირების წელი, სახელი, გვარი, თერთმეტნიშნა პირადი ნომერი, გაეცანით პირობებს, მონიშნეთ ველი „გავეცანი და ვეთანხმები პირობებს“ და დააჭირეთ ღილაკს - „ავტორიზაცია“.



### საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი

**პირველადი ავტორიზაცია**

სერტიფიცირების წელი	პირადი ნომერი
<input type="text" value="აირჩიეთ წელი"/>	<input type="text" value="თერთმეტნიშნა"/>
სახელი	გვარი
<input type="text"/>	<input type="text"/>

თქვენს მიერ საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სარეგისტრაციო ვებ-გვერდზე (directors.mes.gov.ge) განთავსებული ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

გავეცანი და ვეთანხმები პირობებს

**ავტორიზაცია**

**შენიშვნა N1:** გაითვალისწინეთ, პირველადი ავტორიზაციის ფორმაში მითითებული ყველა ველის შევსება სავალდებულოა.

იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არასწორად ან არასრულად იქნა შევსებული, ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.

**შენიშვნა N2:** სერტიფიცირების წელი გულისხმობს საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წელს.

წარმატებული ავტორიზაციის შემთხვევაში, საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მქონე პირი იწყებს თანხმობის განაცხადის ელექტრონული ფორმის შევსებას, რომელიც შედგება ორი ეტაპისაგან.

**პირველ ეტაპზე** აუცილებელია დირექტორობის უფლების მქონე პირმა მიუთითოს საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), ატვირთოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და ფოტოსურათის ელ.ვერსია, აკრიფოს სამოტივაციო წერილი, ფორმაში გამოყოფილ სპეციალურ არეში და მომდევნო ეტაპზე გადასვლის მიზნით, დააჭიროს ლილაკს - „გაგრძელება“.

**შენიშვნა N3:** გაითვალისწინეთ, თითოეული ასატვირთი ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 2MB-ს.

თანხმობის განაცხადის ელექტრონული ფორმის შევსების მეორე ეტაპზე აუცილებელია, დირექტორობის უფლების მქონე პირმა ამოირჩოს და დაამატოს არაუმეტეს სამი საჯარო სკოლა, რომელშიც სურს ასარჩევად წარედგინოს სამეურვეო საბჭოს.

ამოარჩიეთ და დაამატეთ არაუმეტეს 3 საჯარო სკოლა, რომელშიც გსურთ ასარჩევად წარედგინოთ სამეურვეო საბჭოს.

რეგიონი

რაიონი

რეგიონი

**სკოლის დამატება**

დამატებული სკოლები

თქვენ არ გაქვთ დამატებული სკოლები.

**გაგრძელება**

← უკან დაბრუნება

**შენიშვნა N4:** სასურველი სკოლის/სკოლების დამატების მიზნით, აუცილებელია ფორმაში არსებული ველებიდან აირჩიოთ რეგიონი, რაიონი, საჯარო სკოლა და დააჭიროთ ღილაკს - „სკოლის დამატება“.

**შენიშვნა N5:** დამატებული სკოლების ნაშლა შესაძლებელია სკოლის გასწვრივ არსებული ღილაკით - „ნაშლა“.


დამატებული სკოლები

სსიპ - ქალაქ თბილისის №190 საჯარო სკოლა	ნაშლა
სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა	ნაშლა
სსიპ - ქალაქ თბილისის №30 საჯარო სკოლა	ნაშლა

**გაგრძელება**

← უკან დაბრუნება

მომდევნო ეტაპზე სისტემა უზრუნველყოფს შევსებული ინფორმაციის შესაბამისად, თანხმობის განაცხადის ფორმის გენერაციას, რომლის დამოწმების მიზნით, აუცილებელია დააჭიროთ ღილაკს - „დადასტურება და გადაგზავნა“.



თანხმობის განაცხადის ფორმის დადასტურებისთანავე, დირექტორობის უფლების მქონე პირი მიიღებს სპეციალურ კოდს, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინების (sms) სახით, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

**გაითვალისწინეთ, კოდი უნიკალურია და გამოიყენება სისტემაში შემდგომი ავტორიზაციის მიზნით.**

თანხმობის განაცხადში მითითებული საჯარო სკოლების ცვლილების მიზნით, აუცილებელია შეხვიდეთ ვებგვერდზე - <http://directors.mes.gov.ge/>, გაიაროთ ავტორიზაცია უნიკალური კოდით და დააჭიროთ ღილაკს „რედაქტირება“. რედაქტირების მიზნით, შეგიძლიათ წაშალოთ არჩეული სკოლა და დაამატოთ სხვა სკოლა.

## ავტორიზაცია უნიკალური კოდით

კოდი

კოდი, რომელიც მიიღეთ თქვენ მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით

ავტორიზაცია

**გისურვებთ წარმატებას!**